2024 წლის 4 აპრილს 14:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N571 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღება;

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა-დამტკიცება;

3. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა-დამტკიცება;

4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საქართველოს პარლამენტში და მარეგულირებელ კომისიაში წარსადგენი 2023 წლის ანგარიშები (ცნობად მისაღები);

5. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის N02-19/103 წერილში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (საკითხი ეხება 4 კომპლექტი სტუდიური კამერის, 4 ცალი ობიექტივის და ერთი ცალი პორტატული გორგოლაჭიანი ურიკის შესყიდვაზე თანხმობის მიცემას);

6. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობაში, კოსტავას ქუჩა N68-ში, სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში.